



**FORWARD  
FASTER**

# Forward Faster

მდგრადი განვითარების  
მიზნებთან დაკავშირებული  
ფინანსები და ინვესტიციები

სამოქმედო გზამკვლევი

# შესავალი

Forward Faster ინიციატივის სამოქმედო გზამკვლევი განუთვნილია კომპანიებისთვის, რომლებიც იღებენ ან განიხილავენ ვალდებულებების აღებას. მასში იხილავთ მიზნობრივ დეტალებს, მნიშვნელოვან განმარტებებს, პრაქტიკის მაგალიტებს და ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს (KPIs), იმ შუალედური მიზნების, რესურსებისა და შესაძლებლობების ჩათვლით, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც 2030 წლის მიზნების მისაღწევად განსაზღვრავენ თავიანთ სტრატეგიას.

# კონტექსტი

მონაწილე კომპანიების წასახალისებლად იმ მიზნით რომ მათდასახონ მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), გაეროს გლობალური შეთანხმება გეგმავს 17 ტრილიონი ამერიკული დოლარის ჩაღებას წლიურ კორპორაციულ ინვესტიციებში, რათა გაზარდოს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ინვესტიციებისა და ფინანსების მოცულობა და პროპორციები.

Forward Faster ინიციატივა მდგრადი განვითარების მიზნებისთვის ინვესტიციებისა და ფინანსების მიმართულებით, სრულად დაკავშირებული და დაფუძნებულია გაეროს გლობალური შეთანხმების უფროსი ფინანსური ხელმძღვანელების/ოფიცრების (უფო) კოალიციის მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით საქმიანობაზე და (the CFO Coalition) და მოუწოდებს „გლობალურ უფო-ს თემს, კორპორაციული ინვესტიციები და ფინანსები შესაბამისობაში მოიყვანონ მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) და რომ მართოს ტრილიონობით დოლარის ღირებულების წლიური კორპორაციული ინვესტიციები, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში“. ასევე, „შექმნას გაფართოებული ბაზარი SDG-ებში ინვესტიციებისთვის“.

მიზნები და შემოთავაზებული მნიშვნელოვანი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები გამომდინარეობს უფო-ს პრინციპებიდან, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული SDG ინვესტიციებსა და ფინანსებთან და წარმოადგენს წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშგების (The Annual Implementation Progress Report) ნაწილს, რომელსაც უფო-ს კოალიციაში მყოფი კომპანიები ყოველწლიურად საჯაროდ აქვეყნებენ.

## შესაბამისობა გლობალურ სტანდარტებთან

კომპანიებმა უნდა აამოქმედონ არსებული და შემუშავების პროცესში მყოფი რეგულაციები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკები, რათა განსაზღვრონ და დაინაგარიშონ SDG-სთან დაკავშირებული ინვესტიციები და ფინანსები. აქ შედის:

- მდგრადი დაფინანსების სტანდარტები, მათ შორის, ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობა, საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ასოციაციის (ICMA) და სასესხო სინდიკატებისა და სავაჭრო ასოციაციის (LSTA) მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციებისა და კრედიტების პრინციპები.
- ქვეყნის ან რეგიონული მგრადობის ტაქსონომიები/სისტემატიკა. თუმცა SDG-თვის გათვალისწინებული ინვესტიციების სისტემატიკასთან შესაბამისობა არ მოითხოვება, რადგან SDGs და სისტემატიკა შესაძლოა ზეგავლენას სხვადასხვა სფეროზე ახდენდეს.
- მდგრადი ინვესტიციები, საბანკო ოპერაციების სტანდარტები და ჩარჩოები. თუმცა, ისინი შესაძლოა, პირდაპირ არ შეესაბამებოდნენ კორპორაციული საქმიანობის მოთხოვნებს. მაგალითად:
  - გლობალური ინვესტორები მდგრადი განვითარებისთვის (GISD) - მდგრადი განვითარებისთვის ინვესტირების დეფინიცია და მანდატის მოდელი.
  - გაეროს ეკოლოგიური პროგრამის დაფინანსების ინიციატივის (UNEP FI) გადახდისუნარიანი ბანკის პრინციპები.
  - გონიერი ინვესტიციის პრინციპები (PRI).
- მდგრადობაზე ანგარიშგების სტანდარტები და სტანდარტიზირებული მდგრადობის მეტრიკები, როგორიცაა: საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტების მიმართულებითი საბჭო (ISSB); მდგრადობის ევროპული ანგარიშგების სტანდარტები (ESRS); კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური საკითხის გამოვლინების შემსწავლელი ორგანიზაცია (TCFD); მდგრადობის საბუღალტრო სტანდარტების ბორდი (SASB); საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება საწარმოებს ეკოლოგიური პრობლემების გამოვლენაში (CDP); და გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI).

## წინსწრაფვის დონე და კომპანიის ინდივიდუალური მიზნები

კომპანიის ინდივიდუალური მიზნები წარმოადგენს სწრაფვას შესაბამის კორპორაციული ინვესტიციის SDG-ს პოლიტიკასა და სტრატეგიას და დაუკავშირონ კორპორაციული დაფინანსება SDG ინვესტიციებსა და ქმედებებს, შესაბამისი მატერიალურობის მიზნებთან შესაბამისობით. სწორედ ეს არის უფო-ს პრინციპებისა და უფო-ს კოალიციის ეტაპობრივი განვითარების პროცესი. ეს ხელს შეუწყობს კომპანიებს, მუდმივად ზარდონ SDG-ს შესაბამისი ინვესტიციები და ფინანსები გრძელვადიანი მიზნისთვის, მიაღწიოს ისეთი კორპორაციული ინვესტიციისა და დაფინანსების 100 პროცენტს, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება მდგრადი განვითარების მიზნებთან.

მაშინ როცა არსებობს ამბიციური, შესაბამისობაში მოიყვანოთ ყველა კორპორაციული ინვესტიცია და ფინანსები, პრაქტიკაში ყოველთვის ნათელი არ არის თუ როგორ მოხდება თითოეული ინვესტიციის განაწილება და გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების შესახებ. ზოგადად კომპანია რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს ერთიანად და არა ცალკეულ ფაქტორს იზოლირებულად. ყველაფერთან ერთად, საუკეთესო გამოცდილება და მდგრადი დაფინანსებისა და ინვესტიციების სტანდარტებიც მუდმივად იცვლება. ამრიგად, კომპანიები რომლებსაც ადებული აქვთ მიზნის მიღწევის ვალდებულება, იღებენ იმის ვალდებულებასაც, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდებიან ისეთ შესაბამისობას, რაც პრაქტიკულია მათი კომპანიისთვის მათი წარმოების სფეროს, ადგილმდებარეობის, მდგრადობის და მისი გარემოცვალი გზის გათვალისწინებით.

სანდოობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით და შესაბამისი მიზნების ჩამოსაყალიბებლად, კომპანიებმა უნდა მიმართონ შემდეგ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს:

- ჩამოაყალიბონ გარკვეული დროის განმავლობაში, მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევისკენ მიმავალი გზები, რომელიც იქნება გასაგები და მზარდი.
- მონიშნონ მისწრაფების ის დონე, რომელსაც კომპანია შეთანხმებს თავის სფეროში მოღვაწე სხვა კოლეგებთან.
- დაგეგმონ ყოველწლიური გაუმჯობესების გზები, რომელიც დაფუძნებული იქნება საბაზისო მონაცემების კვლევაზე.
- მხედველობაში მიიღოს, რომ მისწრაფების თავდაპირველი დონე შეიძლება გაიზარდოს 2030-ისთვის გათვლილ შუალედურ ეტაპზე.

## SDG-სთან შესაბამისობისთვის გათვალისწინებული ინვესტირების მიზნად დასახვა

რაც შეიძლება სრულად შეუსაბამეთ კორპორაციული ინვესტიციები SDG პოლიტიკას და სტრატეგიებს. დაისახეთ მიზნები, თვალი ადევნეთ მათი შესრულების პროგრესს და შეადგინეთ ანგარიშები SDG-სთან შესაბამისობაში მყოფი ინვესტიციების რაოდენობასა და პროპორციების შესახებ.

### მოცემული მიზნის მნიშვნელოვანი ტერმინებისა და ელემენტების განმარტება

SDG-ს შესაბამისი ინვესტიციებისა და მასთან დაკავშირებული ფინანსების კონცეფციები განმარტებულია დოკუმენტში „უფოს-ს პრინციპები SDG-ს ინტეგრირებული ინვესტიციებისა და ფინანსებისთვის“ - [CFO PRINCIPLES FOR INTEGRATED SDG INVESTMENTS AND FINANCE](#).

**SDG-ს შესაბამისი ინვესტიციები** ნიშნავს საერთაშორისო რესურსებს, ინვესტიციებსა და დაფინანსებას, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს SDG აღსრულების თეზისისა და ინტეგრირებული SDG სტრატეგიის განხორციელება ან შემუშავება.

**კორპორაციული SDG ინვესტიციები** ნიშნავს კომპანიის პროდუქტიულობის სიმძლავრეში ჩადებულ გრძელვადიან ინვესტიციას. როგორც წესი, ის შეიცავს ძირითადი კაპიტალის ხარჯებს (capex), კაპიტალიზირებულ ხარჯებს (როგორცაა რესურსები და განვითარება), აქტივების ან კომპანიების შექმნას (გაერთიანება, შექმნა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) და ერთობლივ საწარმოებს, მათი კონტროლის მოცულობის, წარმოების ხასიათისა და მდგრადობაში მათი წვლილის გათვალისწინებით. აქ შეიძლება ასევე შედიოდეს წარმოების ხარჯები (opex), რომლებიც არ არის ხარჯთაღრიცხვის მიზნით კაპიტალიზირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, წვლილი შეაქვს გრძელვადიან ეკოლოგიურ და სოციალურ სარგებელში.

**კორპორაციული SDG ინვესტიციების** მთავარი მიზანია გააჩინოს სხვადასხვა გზა, რისი საშუალებითაც კომპანიები შეძლებენ: განახორციელონ SDG ინვესტიციები, მიიღონ ისეთი ტიპის გადაწყვეტილებები, რომელიც წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში; და წაახალისებს ყველა მიმართულების საწარმოებს, რომ ჩაერთონ ამ პროცესში. ეს ყველაფერი თავსებადია მრავალრიცხოვანი კაპიტალის კონცეფციასთან. ინტეგრირებული ინვესტიციის ბუღალტრული აღრიცხვა უნდა შეიცავდეს არა მარტო ფიზიკურ ან ფინანსურ აქტივებს, არამედ ასევე ადამიანურ კაპიტალში, თემის განვითარებაში (სოციალური კაპიტალი), გარემოს დაცვაში (ბუნებრივი კაპიტალი) და ინოვაციებში (ინტელექტუალური კაპიტალი) ჩადებულ ინვესტიციებსაც.

**SDG-ს შესაბამისი ინვესტიციები** მოიცავს ინვესტიციებს, რომელიც **პირდაპირ შესაბამეა** კომპანიის SDG სტრატეგიას და მნიშვნელობას (პირდაპირი შესაბამისობა) და ინვესტიციებს, რომლებიც **არ არის პირდაპირ შესაბამისობაში**, მაგრამ მათი საშუალებით პოტენციური ნეგატიური ზეგავლენა SDG-ს პროგრესის მიმართ შემცირებულია (არაპირდაპირი შესაბამისობა). SDG ინვესტიციების კონტექსტში, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული **საპასუხისმგებლო ინვესტიციების პრინციპების** (PRI) მიერ დადგენილი შემდეგი ტერმინოლოგია:

- **მდგრადობის შედეგები** - ნიშნავს ადამიანებსა და პლანეტაზე საინვესტიციო აქტივობების პოზიტიურ და ნეგატიურ ზეგავლენას. აქ იგულისხმება მათი მნიშვნელობა გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებისა და ზღვრების ფარგლებში.
- **აქტივობები მიმართული (მდგრადობის) შედეგებისკენ** - ნიშნავს საჭირო ბერკეტების გამოყენებას გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებისა და ზღვრების ფარგლებში. ეს ნიშნავს მუშაობას მდგრადობის პოზიტიური შედეგების გასაზრდელად და უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ამ ბერკეტებში იგულისხმება კაპიტალის განაწილება და ზედამხედველობა.
- **გლობალური მდგრადობის მიზნები და ზღვრები** - წარმოადგენს მიზნებისა და ზღვრების ჩარჩოს, რომელიც საერთაშორისოდ არის აღიარებული და რომელიც გვთავაზობს ეკონომიკის, საზოგადოებისა და გარემოს მდგრადობის მიღწევის გზებს. ეს ჩარჩოები მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება): ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონს; გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმებას; SDG და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს (UNGPs) ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა გამჭვირვალედ განსაზღვრონ, თუ რას გულისხმობენ ისინი SDG-ს შესაბამის ინვესტიციებში და წარმოადგინონ მიზეზშედეგობრივი კავშირი ინვესტიციებსა და სტრატეგიებს შორის და ის თუ რა გავლენა აქვს ამას მდგრადი განვითარების მიზნებზე.

### კომპანიის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებისა და შუალედური მიზნების მაგალითები

კომპანიები, რომლებიც უერთდებიან **Forward Faster ინიციატივას**, იღებენ გლობალური მიზნების შერულების, კორპორაციული ინვესტიციებისა და ფინანსების SDG-თან შესაბამისობაში მოყვანის, და შესაბამისი ამოცანების დასახვის ვალდებულებას შესაბამისობის დონეების ფინანსური კავშირების განსასაზღვრად ოპერირების სექტორზე, გეოგრაფიულ ადგიმდებარეობაზე და საქმიანობის ტიპზე დაყრდნობით.

#### SDG-ს შესაბამისი ინვესტიციები:

- შეუსაბამეთ კორპორაციული ინვესტიციის 80% SDG პოლიტიკასა და სტრატეგიებს 2030 წლისთვის.
- 2027 წლისთვის:
  - შუალედური მიზანი: 2024 წლისთვის ჩამოაყალიბეთ SDG-სთან დაკავშირებული ინვესტიციების აღრიცხვის ფორმის განმარტება.
  - შუალედური მიზანი: 2027 წლისთვის შეუსაბამეთ კორპორაციული ინვესტიციის 40 % SDG პოლიტიკასა და სტრატეგიებს.

#### შუალედური მიზნებისთვის გასათვალისწინებელი მოსაზრებები:

- კომპანიებმა უნდა დაადგინონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი შუალედური მიზნები 2030 წლისთვის, რათა უზრუნველყონ წინსვლის სწორხაზოვანი ტრაექტორია და საშუალება მისცენ ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს მონიტორინგი გაუწიონ პროგრესს.
- მიზნები უნდა ჩამოაყალიბდეს კომპანიის წარმოებაში SDG-თან დაკავშირებული ინვესტიციების პროცენტული წილის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზზე დაყრდნობით.
- 100 პროცენტზე ნაკლები ინვესტიციის არსებობის შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს ახსნა-განმარტება, რომელიც აღწერს პროცენტული მონაცემის ლოგიკურ დასაბუთებას და იმას, თუ რატომ ითვლება ეს მონაცემი იმ მაქსიმუმად, რომელსაც კომპანია შეძლებს, რომ მიაღწიოს 2030 წლისთვის მითითებული მიზნის დასახვის პერიოდში.

## ანგარიშგება

კომპანიებმა, რომლებიც დასახული მიზნების შესრულების ვალდებულებას იღებენ, წლიური ანგარიში უნდა წარუდგინონ გაეროს გლობალურ შეთანხმებას შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით:

1. რა მიზანი დაისახეთ 2030 წლისთვის SDG-ების-ს შესაბამისი ინვესტიციების რაოდენობასთან და პროპორციასთან დაკავშირებით?\*(გთხოვთ, ასევე მიუთითოთ შუალედური მიზნები)
2. თქვენი მიმდინარე კორპორაციული ინვესტიციის რა რაოდენობა შეესაბამება SDG-ებს (ანგარიშის წარდგენის წლის ბოლოსთვის)? გთხოვთ, მიუთითოთ მთლიანი რაოდენობა დოლარში და ასევე, მთლიანი კორპორაციული ინვესტიციების რა პროცენტზეა საუბარი.

3. რა შედეგის თქვენ მიერ დადგენილ SDG-ების შესაბამისი ინვესტიციების განმარტებაში?
4. შეამოწმეთ თუ არა ეს ინფორმაცია დამოუკიდებლად?

*\*ეს უნდა მოხდეს ყოველწლიურად, რათა თვლი მივალენოთ იმ მიზნების გადახედვას, რომელიც ანგარიშების მხოლოდ პირველ წელს არის დასახული.*

მონაწილეებს ასევე შეუძლიათ თავიანთი მიღწევები გააზიარონ ინვესტირებთან და მდგრადობის საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით.

საჯარო ანგარიშებში უნდა შედიოდეს:

- შიდა მიზნები
- შუალედური მიზნები
- დაწყების ეტაპი და წლიური აქტივობები
- დროთა განმავლობაში შიდა მიზნების გადახედვა

ანგარიშვალდებულებისა და სანდოობის გასაუმჯობესებლად, დამოუკიდებლად უნდა გადამოწმდეს მიზნების საწინააღმდეგო ქმედებები.

## მიზანი: SDG-ებთან მიბმული ფინანსები

**ჩამოაყალიბეთ სტრატეგია კორპორაციული დაფინანსებისთვის, რომელიც მიბმულია SDG ინვესტიციებთან და საქმიანობასთან და წარადგინეთ ანგარიშები SDG-თან მიბმული ფინანსების რაოდენობასა და პროპორციების შესახებ.**

## ძირითადი ტერმინებისა და ელემენტების განმარტება

SDG-ების შესაბამისი ინვესტიციებისა და ფინანსების კონცეფციები განმარტებულია დოკუმენტში „უფო-ს პრინციპები SDG-ში ინტეგრირებული ინვესტიციებისა და ფინანსებისთვის“ - CFO PRINCIPLES FOR INTEGRATED SDG INVESTMENTS AND FINANCE.

**კორპორაციული ფინანსების სტრატეგია** - განმარტებულია უფო-ს პრინციპებში, როგორც საყოველთაო მიდგომა, დაფინანსდეს კომპანიის წვლილი SDG-ში და ასევე, მოხდეს კაპიტალის სტრუქტურის ინვესტირებისა და კომპანიის საქმიანობის მაქსიმალურად დაკავშირება მდგრადი განვითარების მიზნებთან. მდგრადი ფინანსური ჩარჩოები კომპანიების მიერ სულ უფრო მეტად გამოიყენება იმის აღსაწერად, თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში მათი კორპორაციული სტრატეგია SDG-თან დაკავშირებულ ინვესტიციებთან და საქმიანობასთან.

**SDG-თან დაკავშირებული ფინანსები** - ძირითადად ეხება ფინანსურ ვალდებულებებსა და სხვა სესხად აღებულ კაპიტალს (ობლიგაციები, სესხები და კრედიტები), იქნება ეს კერძო პირისგან აღებული თუ საჯაროდ აღებული, მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კრედიტები<sup>1</sup>. ეს არის ფართო (ქოლგა) კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც ვალდებულებების შესრულებაზე დაფუძნებულ (SDG-თან დაკავშირებული), ასევე ინვესტიციაზე დაფუძნებულ (ინვესტორისგან მიღებული კაპიტალი) პროდუქტებს:

- ვალდებულების შესრულებაზე დაფუძნებული პროდუქტები მოიცავს SDG ან მდგრადობისთვის საჭირო ობლიგაციებს, სესხებსა და საკრედიტო საშუალებებს შესაბამისი პროცენტებით, რომელიც დაკავშირებულია სესხების გამცემებთან და მათ მიზნებთან მდგრადობის ძირითად სფეროებში. ამ ფინანსურ პროდუქტებს კომპანიების ფინანსური სტიმული შესაბამისობაში მოჰყავს მათ მდგრადობის მიზნებთან.
- ინვესტიციებზე დაფუძნებული პროდუქტები მოიცავს ინვესტირებისგან მიღებულ კაპიტალთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, სადაც შედის ეკოლოგიასთან, სოციალურ საკითხებთან და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები და სესხები იმ ფულად სასწრებთან ერთად, რომელიც განაწილებულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც მდგრადად ითვლება (ქვემოთ მითითებული გლობალური სტანდარტების მიხედვით).

მოცემული განმარტებები შეესაბამება მდგრადი ფინანსური პროდუქტების გლობალურ სტანდარტებს, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

კომპანიები სულ უფრო მეტად იყენებენ როგორც ინვესტიციებზე, ისე ვალდებულების შესრულებაზე დაფუძნებულ სტრუქტურებს თავიანთ ფინანსურ ინსტრუმენტებში, რათა მაქსიმალურად განავითარონ მდგრადი დაფინანსების შესახებ ანგარიშგება და გაზარდონ კომპანიისადმი სანდოობა. ამ ინსტრუმენტებს ხანდახან უწოდებენ სუპერ ეკოლოგიურ/სოციალურ სტრუქტურებს.

<sup>1</sup> ფინანსურ პროდუქტების და ბაზრების შემდგომ განვითარებამდე, SDG-თან დაკავშირებულ ფინანსებში არ არის შეტანილი აქციები

## კომპანიის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებისა და შუალედური მიზნების მაგალითები

კომპანიები, რომლებიც უერთდებიან **Forward Faster ინიციატივას**, იღებენ გლობალური მიზნების შერულების, კორპორაციული ინვესტიციებისა და ფინანსების SDG-თან შესაბამისობაში მოყვანის, და შესაბამისი ამოცანების დასახვის ვალდებულებას შესაბამისობის დონეების ფინანსური კავშირების განსასაზღვრად ოპერირების სექტორზე, გეოგრაფიულ ადგიმდებარეობაზე და საქმიანობის ტიპზე დაყრდნობით.

### SDG-თან დაკავშირებული დაფინანსებები

- დააკავშირეთ ყველა გრძელვადიანი (outstanding) ვალის 75% SDG პოლიტიკასა და სტრატეგიებთან 2030 წლისთვის.
  - შუალედური მიზანი: 2027 წლისთვის დაუკავშირეთ გრძელვადიანი (outstanding) ვალის 55% SDG ინვესტიციებსა და მასთან დაკავშირებული მიზნების შესრულებას.
  - შუალედური მიზანი: 2024 წლისთვის ჩამოაყალიბეთ და გამოაქვეყნეთ მდგრადი დაფინანსების ჩარჩო.
  - შუალედური მიზანი: 2025 წლისთვის გაეცით მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური პროდუქტი.

### შუალედური მიზნებისთვის გასათვალისწინებელი მოსაზრებები:

კომპანიებს ასევე შეუძლიათ, თუმცა, არ მოეთხოვებათ, დასაბონ მიზნები SDG-სთან დაკავშირებული დაფინანსების (outstanding) პროცენტის შესახებ. კომპანიებს მოეხოვებათ ინვესტირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დროს, ყოველწლიურად საჯაროდ აცნობონ მათ SDG დაფინანსების მთლიანი რაოდენობისა და გადაუხდელი (outstanding) პროცენტის შესახებ.

## ანგარიშგება

1. კომპანიები, რომლებმაც აიღეს ვალდებულებები მიზნის მისაღწევად, გაეროს გლობალურ შეთანხმებას წარუდგენენ ყოველწლიურ ანგარიშს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით: რა სტრატეგია გაქვთ არჩეული კორპორაციული ფინანსების SDG ინვესტიციებთან და მათთან დაკავშირებული მიზნის მიღწევის საქმიანობასთან დასაკავშირებლად?
2. რა რაოდენობის SDG-სთან დაკავშირებული ფინანსები იქნა გაცემული ანგარიშგების პერიოდში?
3. კომპანიის გრძელვადიანი (outstanding) კორპორაციული ფინანსების რა რაოდენობაა დაკავშირებული SDG-ის შესაბამის ინვესტიციებთან ან SDG-თან დაკავშირებულ საქმიანობასთან (ანგარიშგების წლის ბოლოს)?
4. რა შედის SDG-თან დაკავშირებული ფინანსების განსაზღვრებაში?

მონაწილეებს ასევე შეუძლიათ კომპანიის მიღწევები ფართოდ გააზიარონ თავიანთი ინვესტიორებისა და მდგრადობის საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით.

- საჯარო ანგარიშებში უნდა შედიოდეს:
  - შიდა მიზნები
  - შუალედური მიზნები
  - დაწყების ეტაპი და წლიური აქტივობები
  - პერიოდულად მიზნების გადახედვა

ანგარიშვალდებულებისა და სანდოობის გასაუმჯობესებლად, მიზნების საწინააღმდეგო ქმედებები უნდა გადამოწმდეს დამოუკიდებლად.

## აქტივობები კომპანიის პროგრესის დასაჩქარებლად

კომპანიებისთვის, რომლებიც იღებენ SDG-თან შესაბამისი ინვესტიციების და/ან SDG-თან დაკავშირებული ფინანსების მიზნების შესრულების ვალდებულებებს, შეუძლიათ გაეცნონ ქვემოთ მოცემულ აქტივობებს, რომლებიც მათ შეუძლიათ განახორციელონ პროგრესის დასაჩქარებლად.

კომპანიების უფროს ფინანსურ ხელმძღვანელებს/ოფიცრებს (უფო), რომლებიც იღებენ მიზნების განხორციელების ვალდებულებას, შეუძლიათ ხელი მოაწერონ უფოს-ს პრინციპებს SDG-ში ინტეგრირებული ინვესტიციებისა და ფინანსების შესახებ და შეუერთდნენ SDG-ს უფო-ს კოალიციის (CFO COALITION FOR THE SDGS) ჯგუფს, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ რესურსებთან და კოლეგა უფო-ების ქსელთან, რომელიც ასევე მოიცავს მდგრადობის მიზნის მიღწევაზე გარდამავალ პროცესებს ვალდებულებების შესრულების პერიოდში.

SDG-ს შესაბამისი ინვესტიციებისა და SDG-თან დაკავშირებული ფინანსების მიზნების განხორციელებაში პროგრესის მისაღწევად, ვალდებულებების ამღები უფო-ებს ასევე შეუძლიათ გადაადგან შემდეგი ნაბიჯები:

- შეიმუშაონ კონკრეტული და სანდო SDG-ის ზეგავლენის თეზისი.
- ჩამოაყალიბონ სისტემა, ზეგავლენის სისტემატურად გასაზომად და მონიტორინგის განსახორციელებლად
- დაადგინონ კავშირი SDG-სა და კორპორაციული ინვესტიციის ყველა ნაწილს შორის.
- დაადგინონ კავშირი SDG-ის და კაპიტალის/ინვესტიციებისთვის საჭირო ოპერაციებს შორის.
- დაადგინონ მესამე მხარეს, როგორ აკონტროლებს ამბიციურ და კონკურენტულ მიზნებს.
- მიიღონ SDG-ში ინვესტირების კრიტერიუმები ინვესტიციების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ჩამოაყალიბონ SDG-ის შესაბამისი ინვესტიციების მართვის გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემა.
- ჩამოაყალიბონ და გამოაქვეყნონ კომპანიისთვის SDG-ის შესაბამისი ინვესტიციის აღრიცხვის დეფინიცია.
- საჯაროდ გამოაქვეყნონ SDG-ის შესაბამისი ინვესტიციების კომპანიის საბოლოო და შესაბამისი დონეები კომპანიის წლიურ ანგარიშში და ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეების კომუნიკაციის პლატფორმებზე.
- შექმნან მდგრადი დაფინანსების ჩარჩო ინვესტორებისთვის, რომელიც დეტალურად აღწერს, როგორ არის დაკავშირებული კომპანიის კორპორაციული დაფინანსების სტრატეგია SDG-თან დაკავშირებულ ინვესტიციებთან და მიზნების შესრულებასთან.
- გამოაქვეყნონ მდგრადობასთან დაკავშირებული ან საერთო მიზნის მისაღწევად საჭირო ფინანსური ინსტრუმენტის სახეობა (ობლიგაცია, სესხი, კრედიტები და სხვ.).
- გამოაქვეყნონ ინვესტორისგან მიღებული კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტები (ობლიგაცია, სესხი, კრედიტები და სხვ.).

## სტრატეგიების განხორციელებისთვის საჭირო სასარგებლო რესურსები

ქვემოთ მითითებულია რესურსები კომპანიებისთვის, რომლებმაც აიღეს SDG-თან შესაბამისი ინვესტიციებისა და მასთან დაკავშირებული ფინანსების მიზნების განხორციელების ვალდებულება

უფო-ს პრინციპების განხორციელების გეგმა მოიცავს უფო-ს კოალიციის კოლექტიურ გამოცდილებას, პრინციპების განხორციელების და მნიშვნელოვანი კონცეფციების გაგების შესახებ. ეს არის დინამიური ონლაინ პლატფორმა, რომელიც გზადაგზა განიცდის ცვლილებას, რადგან მონაწილეთა თემი აგრძელებს ზრდას და განიცდის პროგრესს SDG-ის კორპორაციულ ფინანსებში ინტეგრაციის პროცესში.

- უფო-ს პრინციპი 1 - SDG-ის ზეგავლენის თეზისი და გაზომვები (SDG IMPACT THESIS AND MEASUREMENT)
- უფო-ს პრინციპი 2 - SDG-ის ინტეგრირებული სტრატეგია და ინვესტიციები (INTEGRATED SDG STRATEGY AND INVESTMENTS)
- უფო-ს პრინციპი 3 - ინტეგრირებული SDG-ის ფინანსები (INTEGRATED CORPORATE SDG FINANCE)
- უფო-ს პრინციპი 4 - ინტეგრირებული SDG-ის კომუნიკაცია და ანგარიშგება (INTEGRATED SDG COMMUNICATION AND REPORTING)

კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ გზამკვლევი, ინსტრუმენტები, ჩარჩოები და სხვა რესურსები, რომლებიც დაეხმარებათ მათ მიზნების მისაღწევად ადებული ვალდებულებების შესრულებაში.

# გაეროს გლობალური შეთანხმების გეგმის განხორციელების სახელმძღვანელო პროგრამები

კომპანიებისთვის, რომლებიც SDG-ს შესაბამისი ინვესტიციებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსების მიზნების განხორციელების ვალდებულებას იღებენ, ქვემოთ მოცემულია გაეროს გლობალური შეთანხმების პროგრამები, რომლებიც მათ მიზნების განხორციელებაში უხელმძღვანელებს

- გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემია (UN GLOBAL COMPACT ACADEMY): აკადემია არის გაეროს გლობალური შეთანხმების მთავარი სასწავლო პლატფორმა, რომელიც, მდგრადობის სტრატეგიის სწრაფად განხორციელებლად, ბიზნეს-ლიდერებსა და მოქმედ სპეციალისტებს აუცილებელ ცოდნასა და უნარებს აძლევს. საუთარ თავზე მორგებული სწავლა ეხმარება კომპანიებს, გაეცნონ სამართლიანი გადასვლის თემას და მათთვის მისაღები ტემპით მოემზადონ მოქმედებისთვის.
  - SDG-სთვის ფინანსური აქტივობები: უფო-ს პრინციპების განხორციელება (TAKING FINANCIAL ACTION FOR THE SDGS: IMPLEMENTING THE CFO PRINCIPLES)
- უფო-ს კოალიცია SDG-სთვის (CFO COALITION FOR THE SDGS): უფო-ს კოალიცია წარმოადგენს პლატფორმას უფროსი ფინანსური ხელმძღვანელებისთვის (ოფიცრებისთვის), რომლებიც ურთიერთობენ კოლეგებთან, ინვესტორებთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან და გაეროსთან, იღვების გაზიარების,ახალი კონცეფციებისა და სამოქმედო ჩარჩოების შემუშავების მიზნით და ასევე გასცემს რეკომენდაციებს იმისთვის, რათა გზა გაუხსნას კერძო კაპიტალს და შექმნას ბაზარი მნიშვნელოვანი SDG-ში ინვესტიციებისთვის. ლიდერ კომპანიებთან და მათ უფო-ებთან, ინვესტორებთან და სტანდარტების დამდგენ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, კოალიცია გააგრძელებს მუშაობას, რათა შეიმუშაოს ინსტრუმენტები და გააცნოს მონაწილეებს საუკეთესო პრაქტიკები SDG-ს კორპორაციულ ინვესტიციებსა და ფინანსებში ინტეგრირების მიზნით. ის მოიცავს ფოკუსირებას SDG-ს შესაბამისი კორპორაციული ინვესტიციების განსაზღვრასა და თვალის მიდევნებაზე. უფო-ს კოალიცია ყოველწლიურად ჩაატარებს თემატურ სამუშაო შეხვედრებს ინვესტიციებსა და დაფინანსებებზე, რათა კომპანიებს გაუწიონ დახმარება ამბიციური მიზნების გააზრებაში, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გაცნობაში, ინვესტიციების რესურსებთან ხელმისაწვდომობაში და დაფინანსების შესაძლებლობის მიღებაში.
- კოლეგების Peer Learning ჯგუფი: SDG-ს ინვესტიციები და ფინანსები (PEER LEARNING GROUP: SDG INVESTMENTS & FINANCE): გაეროს გლობალური შეთანხმება გაძლევთ საშუალებას, უსაფრთხო სივრცეში ერთმანეთს გაუზიაროთ ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის, გამოწვევების, მდგრადობის კრიტიკული საკითხების შესახებ, თქვენისპეციალობის პროფესიონალებთან. გლობალური შეთანხმების მონაწილეების ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობა კოორდინირებული სესიების, სასწავლო რესურსებისა და ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით, ქმნის შესაძლებლობას, იყოთ ინფორმირებული უახლოესი საუკეთესო პრაქტიკების შესახებ. მდგრადი ფინანსების Peer Learning ჯგუფის შექმნა დაგეგმილია 2024 წლისთვის. აქვე (HERE) შეგიძლიათ შეიტყოთ, არის თუ არა თქვენი ადგილობრივი ქსელი გაერთიანებული მოცემულ ჯგუფში.

## შესაძლებლობების გარემო

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად, კომპანიებს შეუძლიათ, მთავრობებს გარკვეული შეტყობინებები გაუგზავნონ და დაარწმუნონ ისინი, განახორციელონ მხარდამჭერი პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა დაეხმარება კომპანიებს, მიაღწიონ თავიანთ აქტიურ მიზნებს, რომლებიც Forward Faster ინიციატივის ფარგლებში დაისახეს. შესაბამისად, მთავრობები კომპანიებს აქლურვავენ საჭირო სიცხადითა და ნდობით, რაც მათ დასჭირდებათ სამომავლოდ ინვესტიციების კატალიზირებისთვის.

ევროკავშირის ინვესტიციების ტაქსონომია ავტომატურად მოვა შესაბამისობაში SDG-თან ისევე, როგორც მდგრადი ინვესტიციები, რომლებიც განხორციელდება სხვა მდგრადი ტაქსონომიების მიერ. ჩვენ მოვუწოდებთ კომპანიებს, გადახედონ უახლეს მარეგულირებელ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისობას SDG-თან დაკავშირებულ, უკვე დასახულ ინვესტიციებთან და იმასთან, რაც განსაზღვრულია იმ ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ, რომელშიც კომპანიები მუშაობენ.

კომპანიებს შეუძლიათ მოუწოდონ მთავრობებს:

- შექმნან მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისობას უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებთან (FDI) ადგილობრივი მდგრადი განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით (მაგალითად: საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების გათვალისწინებით);
- მოახდინონ SDG-ს შესაბამისი კორპორაციული ინვესტიციებისა და დაფინანსებისთვის განვითარების დაფინანსების განაწილება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (LDCs);
- განახორციელონ მხოლოდ გარდამავალი დაფინანსების მართვა და მრავალმხრივი მხარდაჭერა.



## გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი



### ადამიანის უფლებები

- 1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს;
- 2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.



### შრომითი უფლებები

- 3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ;
- 4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა;
- 5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა;
- 6 უნდა გამოირიცხოს დისკრიმინაცია და საქმების უტააზუ და თანამშრომლების მიმართ.



### გარემოს დაცვა

- 7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოს დაცვითი გამოწვევებისადმი;
- 8 საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას;
- 9 უნდა წახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.



### კორუფციასთან ბრძოლა

- 10 ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

## გაეროს გლობალური შეთანხმების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური ინიციატივა, რომელიც კომპანიებს მოუწოდებს, თავიანთი ოპერაციები და სტრატეგიები შესაბამისობაში მოიყვანონ ათ პრინციპთან, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. ჩვენი სურვილია, ათი პრინციპის დაცვით, დავაჩქაროთ და გავაფართოოთ ბიზნესის გლობალური კოლექტიური პარტნიორობა და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას პასუხისმგებლიანი კომპანიებისა და ეკოსისტემების მეშვეობით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ცვლილებებს. გაეროს გლობალური შეთანხმება, 160 ქვეყანასა და 62 ადგილობრივ ქსელში 18 000-ზე მეტი კომპანიისა და 3 800 არასამეწარმეო პირის გაწევრიანების შედეგად, მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივაა - ერთი გლობალური შეთანხმება, რომელიც აერთიანებს ბიზნესს უკეთესი მსოფლიოსთვის.

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ჩვენს ვებგვერდს [UNGLOBALECOMPACT.ORG](http://UNGLOBALECOMPACT.ORG) ან გამოიწერეთ [@globalcompact](https://twitter.com/globalcompact) სოციალურ მედიაში.



United Nations  
Global Compact

© 18 July 2023. United Nations Global Compact 685  
Third Avenue New York, NY 10017, USA